პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 7 აგვისტო, 1943 წ. № 166 (6791). ფასი 20 კაპ.

გერმანელთა ორიოლის პლაცდარმის ლიკვიდაცია და საბჭოთა ჯარების მიერ ქალაქების ორიოლისა და ბელგოროდის აღება

შეუპოვარი შეტევითი ბრძოლების შედეგად ბრიანსკის ფრონტის ჯარებმა, ფლანგებიდან დასავლეთისა და ცენტრალური ფრონტების ჯარების დახმარებით, გაანადგურეს გერმანიის არმიის რჩეული ნაწილები, თავმოყრილნი გერმანიის სარდლობის მიერ ორიოლის რაიონში, ლიკვიდაცია უყვეს მტრის ორიოლის პლაცდარმს და 5 აგვისტოს დაიკავეს ქალაქი ორიოლი, რომელიც თითქმის ორი წლის განმავლობაში გერმანელი ოკუპანტების ხელში იყო. ამავე დღეს, 5 აგვისტოს, სტეპნოისა და ვორონეჟის ფრონტების ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის ფრონტი და დაიკავეს ქალაქი ბელგოროდი.

მთელი ეს ოპერაცია, ბრწყინვალედ განხორციელებული წითელი არმიის მიერ უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმის მიხედვით, ორ ეტაპად იყოფა:

1. წარმატებითი ლიკვიდაცია ჩვენი ჯარების მიერ გერმანელ ფაშისტთა ჯარების საზაფხულო შემოტევისა, რაც მათ დაიწყეს ა. წ. 5 ივლისს ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდ-კურსკის მიმართულებებით იმ მიზნით, რომ გარშემორტყმოდნენ და მოესპოთ კურსკის შვერილში მყოფი საბჭოთა ჯარები და დაეკავებინათ კურსკი.

2. წითელი არმიის წარმატებითი შეტევა ორიოლისა და ბელგოროდის მიმართულებებით, რაც დამთავრდა მოწინააღმდეგის ორიოლისა და ბელგოროდის დაჯგუფებათა დამარცხებით და ჩვენი ჯარების მიერ ქალაქების ორიოლისა და ბელგოროდის დაკავებით.

ბრძოლების პირველი ეტაპი
გერმანელთა შემოტევის ჩაშლა ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებებით

5 ივლისს დილიდან მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალები, მრავალრიცხოვანი ავიაციის დახმარებით, შეტევაზე გადმოვიდნენ ორიოლისა და ბელგოროდის მიმართულებებით. წინა-დღით ჰიტლერმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „გერმანიის არმია გენერალურ შეტევაზე გადადის აღმოსავლეთის ფრონტზე“, რომ დარტყმას, რომელსაც გერმანიის ჯარები აგემებენ, „გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და მობრუნების პუნქტი უნდა გახდეს ომის მსვლელობაში“, და რომ „ეს უკანასკნელი ბრძოლა გერმანიის გამარჯვებისათვის“.

გერმანიის არმიამ, დაიწყო რა „გადამწყვეტი შემოტევა“, დახარჯა რა ადამიანთა ძალის, ტანკების, ქვემეხების, თვითმფრინავების უდიდესი რაოდენობა, არა თუ ვერ მიაღწია ოპერატიულ წარმატებებს, არამედ ვერ მიაღწია ტაქტიკურ წარმატებებსაც კი. უფრო მეტი, ჩვენმა ჯარებმა, გაანადგურეს რა მტრის დივიზიები, რომლებიც შეტევაზე იქნენ გადმოყვანილნი, თვითონ აგემეს საპასუხო მძლავრი დარტყმა მოწინააღმდეგის შემომტევ არმიას. ორიოლ-კურსკის მიმართულებით მოქმედმა საბჭოთა ჯარებმა უკვე 17 ივლისისათვის მთლიანად აღადგინეს მდგომარეობა, რომელიც მათ ეკავათ გერმანელთა შემოტევის დაწყებამდე, ე. ი. 1943 წლის 5 ივლისამდე. ბელგოროდის მიმართულებით მოქმედი საბჭოთა ჯარები, ავიათარებდნენ რა კონტრშეტევას, 23 ივლისისათვის გავიდნენ იმ ზღუდეებზე, რომლებიც მათ ეკავათ გერმანელთა შემოტევის დაწყებამდე, ე. ი. 1943 წლის 5 ივლისამდე.

ამრიგად, გერმანელთა ჯარების საზაფხულო შემოტევა, რომელზედაც ჰიტლერელები დიდ იმედებს ამყარებდნენ, ჩაიშალა. წითელმა არმიამ გააცამტვერა ჰიტლერელების მიერ შექმნილი ზღაპარი იმის შესახებ, რომ თითქოს ზაფხული გერმანიის არმიის წარმატებათა და გამარჯვებათა სეზონად წარმოადგენს, ხოლო საბჭოთა ჯარები ზაფხულში ვითომ იძულებული არიან უკან იხევდნენ.

ამაო ცდებში—დაეკავებინათ კურსკის პლაცდარმი და ამით მოემზადებინათ პირობები ორიოლის პლაცდარმიდან მოსკოვზე შემოტევისა, გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა 5-დან 23 ივლისამდე გასული დროის განმავლობაში დაჰკარგეს 2.900 ტანკი, 1.039 ქვემეხი, აქედან 195 თვითმავალი ქვემეხი, 1.392 თვითმფრინავი, 5.000-ზე მეტი ავტომანქანა და 70.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა სახით.

ასე დამთავრდა ჰიტლერელთა მორიგი ავანტიურა.

ბრძოლების მეორე ეტაპი
საბჭოთა ჯარების წარმატებითი შეტევა ორიოლისა და ბელგოროდის მიმართულებებით

საბჭოთა ჯარებმა არათუ ჩაშალეს გერმანელთა საზაფხულო შემოტევა, არამედ თვითონ გადავიდნენ გადამწყვეტ შეტევაზე მტრის ჯარების დაჯგუფებათა წინააღმდეგ, რომლებიც განლაგებული იყვნენ ორიოლის შვერილში და ბელგოროდის რაიონში და მძიმე დამარცხება აგემეს გერმანელებს.

გერმანელთა სარდლობა უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდა ორიოლს. ჰიტლერელ გენერლებს ორიოლი მიაჩნდათ მოსკოვზე გერმანელთა ჯარების შემოტევის პლაცდარმად და ამავე დროს გერმანელთა თავდაცვის ბასტიონად ფრონტის ცენტრალურ უბანზე.

ორიოლში თავიანთი ყოფნის 22 თვის განმავლობაში გერმანელებმა ორიოლის პლაცდარმი გადააქციეს მძლავრ გამაგრებულ რაიონად, შეჰქმნეს აქ ღრმად ეშელონირებული ხანგრძლივი ნაგებობანი, რომლებიც წყლის მრავალრიცხოვან ზღუდეებს ეყრდნობოდნენ. სულ ამ დღეებში გერმანულმა პრესამ და რადიომ ორიოლი გერმანული თავდაცვის ურყევობის სიმბოლოდ გამოაცხადეს.

ორიოლის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით განლაგებული საბჭოთა ჯარები 12 ივლისს გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ ორიოლის საერთო მიმართულებით. გერმანელთა სარდლობამ თავის ჯარებს, რომლებიც ორიოლის შვერილს იცავდნენ, უბრძანა ერთი ნაბიჯითაც კი არ დაეხიათ უკან და ებრძოლნათ უკანასკნელ ჯარისკაცამდე. ორიოლის რაიონში განუწყვეტლივ მოდიოდა მაშველი ძალები გერმანიიდან, სწრაფად გადმოჰყავდათ ჯარები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სხვა უბნებიდან.

ასრულებდა რა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას, წითელი არმია, კოისპირული წვიმებისა და უგზოობის მიუხედავად, სძლევდა რა მტრის მედგარ წინააღმდეგობას, განუხრელად მიიწევდა წინ, მთელ სიღრმეზე გაარღვია გერმანელთა თავდაცვითი ხაზები და 5 აგვისტოს, ქუჩებში გამართული გაფთრებული ბრძოლების შემდეგ, დაიკავა ქალაქი ორიოლი.

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი ჯარები 4 აგვისტოს გადავიდნენ შეტევაზე, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და, დაამარცხეს რა გერმანელები, დაიკავეს ქალაქი ბელგოროდი.

ჩვენი ჯარების ბრძოლების განმავლობაში ორიოლის მიმართულებით 24 ივლისიდან 6 აგვისტომდე და ბელგოროდის მიმართულებით 4-დან 6 აგვისტომდე ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 50.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 1.100 თვითმფრინავი, 1.705 ტანკი, 584 ყველა ყალიბის ქვემეხი, 6.000 ავტომანქანა.

სულ ორიოლისა და ბელგოროდის მიმართულებებით **ბრძოლების ერთი თვის განმავლობაში**—5 ივლისიდან 6 აგვისტომდე წითელმა არმიამ შემდეგი ზარალი მიაყენა მტერს: მოკლულია 120.000 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და მოსპობილია 4.605 ტანკი, 1.623 ქვემეხი, 11.000 ავტომანქანა, ჩამოგდებულია 2.492 თვითმფრინავი.

ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა **ხელთ იგდეს**: 521 ტანკი, 875 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, მათ შორის თვითმავალი ქვემეხები, 2.521 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 325 სხვადასხვა საწყობი. ტყვედ წამოყვანილია 12.418 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამრიგად, წითელმა არმიამ, ასრულებდა რა უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმას, ბრძოლების ერთი თვის განმავლობაში ლიკვიდაცია უყო გერმანელთა შემოტევას კურსკზე, დიდი დამარცხება აგემა გერმანელ ფაშისტთა რჩეული ჯარების დაჯგუფებას, ლიკვიდაცია უყო მტრის ორიოლის პლაცდარმს და გერმანელი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა ქალაქები ორიოლი და ბელგოროდი.

გერმანელთა საზაფხულო შემოტევის ჩაშლა და გერმანელთა ჯარების დამარცხება ორიოლთან და ბელგოროდთან იმას მოწმობენ, რომ წითელმა არმიამ ზაფხულის პირობებში არათუ შესძლო განემტკიცებინა თავისი შეტევითი წარმატებანი, არამედ შესძლო კიდეც განევითარებინა ეს წარმატებანი.

ახლა საბოლოოდ დამსხვრეულია გერმანელთა და მათ მაჩანჩალათა იმედები მათთვის ზაფხულის პირობებში საომარი მოქმედების ხელსაყრელად შებრუნებისა.

ამით გამოაშკარავებულია გერმანელთა ზღაპარი იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა ჯარებს ზაფხულში არ შეუძლიათ წარმატებითი შეტევის წარმოება.

წითელი არმიის წარმატებითმა საბრძოლო მოქმედებამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტს მიუჯაჭვა ჰიტლერული არმიის ყველა ძირითადი ძალები, გერმანელთა სარდლობას შესაძლებლობა წაართვა თავისუფლად გაეწია მანევრირება ჯარებით და ამით შეჰქმნა კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები ჩვენი მოკავშირეების აქტიური შეტევითი საომარი მოქმედების გასაღებლად ევროპის კონტინენტზე.

ასეთია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ზაფხულის ბრძოლების ერთი თვის შედეგები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულება

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს. ხარისხიანი ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს სოფ. ნიაბაურის დიმიტროვის სახელობის, გურიანთის მახარაძის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. აკ. მალაზონია) და ეკიჯერის ხრუშჩოვის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ლ. გიორგაძე) კოლმეურნეობებმა. ივლისში უკეთესად იმუშავა და დავალებები წარმატებით შეასრულა ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ამხ. ე. გობრონიძე).

ლ. ლოლაძე

უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებას ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლების შესახებ საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ

სტალინის სახელობის ქარხანაში

უდიდესი აღფრთოვანებით და ღრმა პატრიოტული გრძნობით შეხვდნენ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის 1943 წლის 5 აგვისტოს ისტორიულ ბრძანებას, სასიხარულო ცნობას იმის შესახებ, რომ წითელი არმიის წარმატებითი მოქმედების შედეგად ორიოლი და ბელგოროდი განთავისუფლებულია გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან.

6 აგვისტოს დილით შესვენებისაკენ ქარხანაში შესულდა ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის . ბრძანებისადმი. ბელადის ისტორიული ბრძანების ტექსტი მიტინგზე წაიკითხა ამხ. ი. ნეფარიძემ.

ქარხნის მთელი კოლექტივის აზრი გამოხატეს მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ქარხნის უფროსის მოადგილემ ამხ. ჰ. მატინიანმა, ამწყობი საამქროს სტახანოველმა გ. ოსიპოვმა, საელმავლო საამქროს სტახანოველმა ი. არხიპოვმა, ნ. მაისურაძემ და სხვ. მათ განაცხადეს, რომ წითელი არმიის ამ უდიდესი გამარჯვებით აღფრთოვანებულნი, გაძლიერებენ მუშაობის ტემპებს და კიდევ უფრო ეზარდ დახმარებას გაუწევენ საბჭოთა წითელ არმიას მტრის საბოლოო განადგურებაში.

მიტინგზე აღინიშნა, რომ ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლებას მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით ხვდება. წითელი არმიის ამ ბრწყინვალე გამარჯვებით გამოაშკარავებულია გერმანელთა ლეგენდა იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა ჯარებს ზაფხულში არ შეუძლიათ აწარმოონ წარმატებითი შეტევა. ჩვენი არმიის წარმატებითი შეტევა საბჭოთა ადამიანებს ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს.

— კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობის ტემპებს,—ნათქვამია მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში. ვიმუშავებთ უფრო ნაყოფიერად რათა დამოვუშვათ მეტი ორთქლმავლები და ვაგონები, მეტი რაოდენობის სპეციალური პროდუქცია. კიდევ უფრო გავაძლიერებთ ფრონტისადმი დახმარებას. მაგრად ურტყთ მტერს, ამხანაგო მებრძოლებო და მეთაურებო, გერმანელი ოკუპანტების სრულ განადგურებამდე, ამსხვრიეთ, ანადგურეთ ჰიტლერული სამხედრო მანქანა! ჩვენ უხვად მოგაწვდით ყველაფერს, რაც საჭიროა მტერზე სრული გამარჯვებისათვის.

წითელი არმია ზაფხულშიც წარმატებით ანვითარებს შეტევას

ამხანაგ სტალინის ბრძანებისადმი მიძღვნილი მიტინგი რუსთაველის თეატრში, რომელიც გუშინ შესდგა, გახსნა თეატრის დირექტორმა ამხ. პ. მურღულიამ. დიდი ბელადის ბრძანება ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლების შესახებ მიტინგზე წაიკითხა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ამხ. ა. ხორავამ.

ამხანაგ სტალინის ბრძანებამ მიტინგზე დამსწრეთა საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. სიტყვები წარმოსთქვეს გ. გოგიჩაიშვილმა, თ. თუშიშვილმა და ა. ვასაძემ.

— მოსკოვმა 120 ქვემეხის თორმეტი გასროლით სალუტი მისცა ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლებელ ჩვენს ნამაც ჯარებს,—თქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ამხ. ა. ვასაძემ,—ეს უდიდესი ისტორიული მოვლენაა. წითელმა არმიამ გამოაშკარავა გერმანელთა ლეგენდა იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა ჯარებს ზაფხულში არ შეუძლიათ აწარმოონ წარმატებითი შეტევა. ზამთარში სტალინგრადი, ზაფხულში—ორიოლი და ბელგოროდი—ეს ნიშანია ფაშიზმის სრული განადგურების მოახლოებისა.

რუსთაველის თეატრის კოლექტივმა, მიესალმა რა ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლებელ მამაც წითელ არმიას, უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანების პასუხად იკისრა კიდევ უფრო მეტი მონდომებით იმუშაოს და შეჰქმნას მაღალმხატვრული სპექტაკლები ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლებზე.

ბელადის ბრძანების პასუხად ახალი ვალდებულებები იკისრეს

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი სტალინის 5 აგვისტოს ბრძანებას თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივი უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა.

ამხანაგ სტალინის 5 აგვისტოს ისტორიული ბრძანება მიტინგს გააცნო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ლოლაძემ.

სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა ოსტატმა ამხ. ივ. ჯორჯაძემ განაცხადა, რომ მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივი თავდადებული შრომით უპასუხებს წითელი არმიის გმირულ ბრძოლებს ვერაგი მტრის საბოლოო განადგურებისათვის. ამხ. ჯორჯაძემ აიღო ვალდებულება აგვისტოს საწარმოო გეგმა 112 პროცენტით შეასრულოს.

სტახანოველებმა ს. ბერიბურგმა, ეკ. სტროკოვსკიმ, ვ. სვანიშვილმა და სხვ. აიღეს ვალდებულებანი აგვისტოს საწარმოო გეგმები 110-120 პროცენტით შეასრულონ.

ამხანაგ სტალინის ისტორიულმა ბრძანებამ და გმირი წითელი არმიის წარმატებებმა შეტევამ მაუდელებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა მიმდინარე წლის ბოლომდე გეგმის ზევით გამოუშვას 10.000 მეტრი ქსოვილი, დაამზადოს 2 ტონა ძაფი, 5 პროცენტის გადაჭარბებით გამოუშვას პირველხარისხოვანი ქსოვილი, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით, შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება 0,5 პროცენტით და უზრუნველჰყოს აგვისტოში ყველა მუშის ჩაბმა ტექნიკურ სწავლებაში.

ახალი საწარმოო აღმავლობა

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შესდგა მიტინგები, მიძღვნილი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის 5 აგვისტოს ბრძანებისადმი. ბელადის ბრძანების პასუხად რაიონის მშრომელები ახალ საწარმოო ვალდებულებებს კისრულობენ.

დიდი პატრიოტული აღმავლობით ჩატარდა მიტინგი გორის საკონსერვო ქარხანაში. მიტინგი გახსნა ქარხნის პარტბიურო მდივანმა ამხ. კ. ნინუამ. მიტინგის მონაწილეებს ამხანაგ სტალინის ისტორიული ბრძანება გააცნო ქარხნის დირექტორმა ამხ. ჰ. საყვარელიძემ, სიტყვით გამოსულმა მთავარი საამქროს ცვლის ინჟინერმა ნინო ავსაჯანაშვილმა, ბენ მუშაობის ტემპებს და კიდევ უფრო ეზარდ დახმარებას გაუწევენ საბჭოთა წითელ არმიას მტრის საბოლოო განადგურებაში.

მიტინგზე აღინიშნა, რომ ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლებას მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით ხვდება. წითელი არმიის ამ ბრწყინვალე გამარჯვებით გამოაშკარავებულია გერმანელთა ლეგენდა იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა ჯარებს ზაფხულში არ შეუძლიათ აწარმოონ წარმატებითი შეტევა. ჩვენი არმიის წარმატებითი შეტევა საბჭოთა ადამიანებს ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს.

— კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობის ტემპებს,—ნათქვამია მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში. ვიმუშავებთ უფრო ნაყოფიერად რათა დამოვუშვათ მეტი ორთქლმავლები და ვაგონები, მეტი რაოდენობის სპეციალური პროდუქცია. კიდევ უფრო გავაძლიერებთ ფრონტისადმი დახმარებას. მაგრად ურტყთ მტერს, ამხანაგო მებრძოლებო და მეთაურებო, გერმანელი ოკუპანტების სრულ განადგურებამდე, ამსხვრიეთ, ანადგურეთ ჰიტლერული სამხედრო მანქანა! ჩვენ უხვად მოგაწვდით ყველაფერს, რაც საჭიროა მტერზე სრული გამარჯვებისათვის.

წითელი არმიის უდიდესი გამარჯვება

გუშინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შესდგა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის 5 აგვისტოს ბრძანებისადმი ძღვნილი მიტინგი.

მიტინგზე ამხანაგ სტალინის ბრძანების ტექსტი წაიკითხა ვიცე-პრეზიდენტმა აკად. ს. ჯანაშიამ.

— ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლება,—განაცხადა ბრძანების წაკითხვის შემდეგ აკად. ს. ჯანაშიამ,—მთელ მსოფლიოს ერთხელ კიდევ დაანახვებს, რომ საბჭოთა კავშირის უფრო ძლიერია, ვიდრე ფაშისტური გერმანია, რომ ჩვენი მამაცი ჯარები ზაფხულშიც ისე ანადგურებენ ჰიტლერელთა ურდოებს, როგორც ზამთარში.

— მტერმა ორიოლსა და ბელგოროდს შუა, კურსკის მიმართულებით, — სთქვა აკად. ნ. კეცხოველმა, — თავი მოუყარა თავის ტანკებს „ვეფხვებსა“ და თვითმავალ ქვემეხებს „ფერდინანდებს“ იმ ნიშნით, რომ სტალინგრადის საპასუხოდ ჯაჭვანადგურებია კურსკის ჩვენ ნაწილები. წითელ არმიას ბრძოლა მოუხდა ორ ფронტზე. ბრძოლა ორივე ფронტზე ბრწყინვალედ დასრულდა. ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლება წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებაა, იგი მთელ მსოფლიოს ერთხელ კიდევ უჩვენებს საბჭოთა კავშირის სიძლიერეს და უძლეველობას.

აკადემიის სწავლულმა მდივანმა ამხ. ვ. მაჭავარიანმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ჰიტლერელთა ჯარების საზაფხულო შემოტევა სავსებით ჩაიფუშა. მართალია, მტერი ჯერ კიდევ ძლიერია, მაგრამ დამარცხებას ვანიცდის და ახლა მისი სრული განადგურების ჟამი

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მუშაკები სიტყვას იძლევიან, რომ კიდევ უფრო გაალრავებენ მეცნიერულ მუშაობას, რათა მეტი დახმარება გაუწიონ ფრონტს ჰიტლერელ ოკუპანტთა სრული განადგურების დაჩქარებაში.

გამანადგურებელი დარტყმა მტრის წინააღმდეგ

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი ერთსულოვანი სიხარულითა და სიამაყით გრძნობით შეხვდა ამხანაგ სტალინის 1943 წლის 5 აგვისტოს ბრძანებას ჩვენი ჯარების მიერ ორიოლისა და ბელგოროდის დაკავების შესახებ.

6 აგვისტოს უნივერსიტეტის კლუბში გამართული მიტინგი, მიძღვნილი ბელადის ისტორიული ბრძანებისადმი, გახსნა ამხ. ს. სიკვუამ. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანება მიტინგს გააცნო პროფ. ა. ხარაძემ.

მეზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. კ. მეგრელიძე, დოცენტები გ. ძოწენიძე და ი. ბაჯაძე. ისინი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ: წითელმა არმიამ მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ მას შეუძლია წარმატებით განვითაროს შეტევა ზაფხულშიც. ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლება ჩვენი ჯარების მიერ ერთ-ერთ მეზობელ ტერიტორიებზე, ორივ ფронტზე, ამ ბრძოლებში ჩვენ ნაწილებმა ტანკებსა და ტყვეებს ჩაუტარეს ინვენტარი, ორივ ფронტზე

საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ორიოლი

მოსკოვი არმია, 5 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). დღეს, ქუჩებში გაფფორებულ ბრძოლების შემდეგ, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ბელგოროდი. შედარებითი მყუდროება, რაც ამ უკანასკნელ დღეებში ბელგოროდის მიმართულებით სუფევდა, დიდხანს არ გაგრძელებულა. საბჭოთა ჯარისკაცებმა, მოახდინეს რა გერმანელთა ავლისის შემოტევის ლიკვიდაცია და პირველად პოზიციებზე უეუადგეს მტერი, კვლავ გადამწყვეტი იერიში მიიტანეს მტრის გამაგრებულ პოზიციებზე.

ჩვენი ჯარის ნაწილების შეტევის წინ უძღოდა მტრის წინა კიდის, მისი დასაყრდენი პუნქტების, ცეცხლის სისტემის გულდასმითი დაზვერვა. დაზვერვა დღედაღამ სწარმოებდა მიწაზე და ჰაერიდან. ისარგებლეს რა დაზვერვის მონაცემებით. მესაგზურებმა წინასწარ გაათვალეს მტრის დანაღმული მინდვრები და მოსპეს მავთულლობურები. დაზვერვამ საშუალება მისცა ჩვენს არტილერისტებს მოენიშნათ მტრის საცეცხლე პოზიციები, ხოლო მფრინავებს—მოესინჯათ ფაშისტთა ტანკებისა და ქვეითი ჯარის თავმოყრის ადგილები.

უკანასკნელ დღეებში ჩვენი შეტევის დაწყების წინ საბჭოთა ნაწილებმა მთელ რიგ ადგილებში მტრის თავს მოახვიეს ბრძოლება, რომელთა მიმდინარეობაში მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პოზიციები. თუმცა ამ ბრძოლებს ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მათ მაინც საგრძნობი ზარალი მიაყენეს გერმანელებს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათი ყურადღება ჩამოაშორეს ჩვენი მთავარი დარტყმის მიმართულებას.

შეტევა განთიადზე დაიწყო. იმ მომენტში, როდესაც ჩვენი ქვეითი ჯარი თავს იყრიდა იერიშისათვის, მტრის პოზიციებს გამანადგურებელი ცეცხლი დაატეხა საბჭოთა არტილერიამ. ამავე დროს ჰაერიდან მტერზე იერიში მიიტანეს ჩვენმა მოიერიშეებმა და ბომბადამშენებმა. ბრძოლის პირველ წუთებიდანვე საბჭოთა თვითმფრინავები ჰაერის ბატონ-პატრონი გახდნენ. წითელარმიელები თვითმფრინავებიან მფრინავთა სულ ახალ-ახალი ესკადრილიები ესვლიდნენ ერთიმეორეს. გერმანელთა გამაგრებული პოზიციები ცეცხლსა და კვამლში გაეხვია.

საბჭოთა მფრინავებმა და არტილერისტებმა მოსპეს მტრის დიდალი ტექნიკა. ამაში თვალნათლივ დარწმუნდნენ ჩვენი ქვეითნი, როდესაც გერმანელთა განლაგებაში შეიჭრნენ. ზოგ ადგილას ალმოჩენილი იქნა მტრის არა მარტო ცალკეული დამსხვრეული ქვემეხები, არამედ მთელი ბატარეები და საარტილერიო დივიზიონებიც კი. ორგანიზებული ცეცხლი, ხოლო ხშირად ხიზტით მიტანილი იერიშებიც მტრის ქვეითი ჯარი უკუქცეულ იქნა დიდი ზარალი განიცადა. მაშინ წინ გაეშურნენ ჩვენი ტანკისტები. საბჭოთა ჯავშანი მანქანების მრავალმა ჯგუფმა, რომლებსაც ჰაერიდან თვითმფრინავთა მძლავრი რაზმები იფარავდნენ, მანევრის საშუალება მოუსპო მტრის, განაადგურა მისი ცოცხალი ძალა და ტექნიკა. უკვე ბრძოლის პირველ საათებში რომლებსაც ახასიათებდა ჩვენი ყველა გვარეობის ჯარების მკაფიო თანამოქმედება გერმანელებმა მძიმე ზარალი განიცადეს. იმისთვის, რომ შეეჩერებინათ თავიანთი თავდაცვის გარღვევა, ჰიტლერელები იძულებული გახდნენ სასწრაფოდ გადმოეყვანათ რეზერვები და მაშინვე ჩაებათ ბრძოლაში. ზოგიერთ უბანზე სწარმოებდა ტანკების შემხვედრი ბრძოლები. საბჭოთა ნაწილები, გაგაძლიერებულ ბრძოლას ეწოდნენ რა მტრის თავდაცვის სიღრმეში, განაგრძობდნენ წინსვლას. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ბეჭედნაღებულიყვნენ არ მიეცათ საშუალება შეჩერებულიყვნენ შუალედ ზღუდეებზე. მებრძოლნი მტერს ურტყამდნენ ყუმბარას, ტყვიას, ხიშტსა და გრანატს.

თვითმავალ ქვემეხთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდა ლეიტენანტ კუბაევსკის გუნდი, ხელს უწყობდა ჩვენი ტანკების მოქმედებას. მტრის ბატარეებმა ძლიერი ცეცხლი გაანადგურეს. კუბაევსკის შენიშნა, რომ გერმანელები ტყის პირიდან ისვრიან, და იქითკენ მიმართა თავისი ქვემეხი. მან ორი ყუმბარით დაამსხვრია მტრის ქვემეხი, მაგრამ გერმანელებმაც მოახერხეს კუბაევსკის ზარბაზნისათვის ცეცხლის წაკიდება. ალი ყოველ წუთს შეიძლებოდა მისწვდომოდა ბენზინის ავზს. არტილერისტები ხედავდნენ, როგორ მოჰქრიდა მათი ქვემეხებისაკენ მტრის ტანკი, და მთელი მათი აზრი მიმართული იყო იქითკენ, რომ მოესწროთ იგი.

— მიდი გასატარნავად!—უბრძანა ლეიტენანტმა მექანიკოს-მძღოლს მერკულოვს. ცეცხლმოდებული საბჭოთა თვითმავალი ქვემეხი ეძგერა გერმანელთა ტანკს და მოსპო მტრის მანქანა.

სხვა ბრძოლაში თავი ისახელეს მეავტომატეებმა ვასილ პოპოვმა, სერგეი პრავედნიმ და ალექსანდრე ლეგკოვმა. როდესაც გერმანელებმა ჩვენი ჯარების მძიმეების გამო უკან დახევა იწყეს, მეავტომატეები შორს გაიჭრნენ წინ და გადასჭრეს გზა, რომლითაც ჰიტლერელები იხევდნენ უკან. მათ ბევრი გერმანელი დახოცეს და ამხანაგებს, რომლებსაც მიუსწრეს, დაეხმარნენ ფაშისტთა მნიშვნელოვანი ჯგუფის დატყვევებაში.

ასე იბრძვიან საბჭოთა მეომრები, რომელნიც მარადიულ დიდებას იხვეჭენ ამ შეტევის ბრძოლებში. გაფფორებული ბრძოლების შედეგად საბჭოთა ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინაღმდეგობა. გვარდიის 89-ე დივიზია და 305-ე მსროლელი დივიზია, რომელნაც ამჟამად მიეკუთვნათ „ბელგოროდის“ დივიზიების სახელწოდება, პირველნი შეიჭრნენ ქალაქ ბელგოროდში. ბელგოროდის თავზე კვლავ საბჭოთა დროშა ფრიალებს.

გ. კრილოვი

ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): სოფ. წიწკანაანთსერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ხ. ჩიბირაშვილი,** სოფ. გავაზის კოლმეურნეობა „განთიადის“ თავმჯდომარე **ლ. კეკლაძე,** სოფ. კუტკანის კოლმეურნეობა „განათლების“ თავმჯდომარე **ი. გიგოლაშვილი,** სოფ. წიწკანაანთსერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი **ბენა ჯიოევი,** სოფ. წიწკანაანთსერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი **გ. გაგლოევი.**

ყვარლის რაიონი უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში

ყვარლის რაიონის კოლმეურნეები დაუღალავად მუშაობენ, რომ ჩვენს ქვეყანასა და გმირ წითელ არმიას მისცენ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. 28 ივლისისათვის თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღების გეგმა მთლიანად იყო შესრულებული, ხოლო 30 ივლისისათვის მომკილი პური დაზვინული იყო მთელი აღებული ფართობის 95 პროცენტი, მაშინ როდესაც გასული წლის ამავე დროისათვის რაიონის კოლმეურნეობებს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა შესრულებული ჰქონდათ ნახლოდ 63 პროცენტით. მთელი რიგი კოლმეურნეობები ნათესების გულმოდგინე მოვლის შედეგად მაღალ მოსავალს იღებენ. სოფ. შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადამ (ბრიგადირი ვაშაძე) ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 1.500 კილოგრამი მარცვლეული, სოფ. გავაზის კოლმეურნეობა „განთიადის“ ალ. მებაღიშვილის ბრიგადამ კი 1.200 კილოგრამი. მსგავსი მაგალითები ბევრია.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეების მთელი მუშაობა იქითკენ არის წარმართული, რომ პურეული დროულად გაიღეწოს და შესრულებულ იქნას ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე. საკოლმეურნეო მინდვრებიდან ბარაქიანი ფოლათის სამზედრო ტემპებით აღებისათვის ბრძოლის პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაზარდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ 1943 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა შესახებ. პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილების განხორციელებით უზრუნველყოფილ მოსავლის ორგანიზებულად აღება. რაიონის მთელი შრომის უნარიანი მოსახლეობა—მოზარდები და მოხუცები, ქალები და კაცები ერთსულოვნად იღებდნენ მონაწილეობას მოსავლის აღებაში. მინდვრად მოწყობილი იყო საველე ბანაკები, რამაც ადვილად უფრო შეუწყო ხელი მუშახელის მაქსიმალურად გამოყენებას. კოლმეურნეობებმა კომბაინების გარდა საკუთარი მუშახელით მოსავალი აიღეს 8.815 ჰექტარზე, ნაცვლად ეგემით გათვალისწინებული 6.208 ჰექტარისა. შილდის, ჭიკაანის, გავაზის, ხაშალხუტის, თქტომბრის სასოფლო საბჭოებში შემავალმა კოლმეურნეობებმა 15-20 ივლისისათვის დაამთავრეს თავთავიანი კულტურების მკა, ამავადმავ გაცხოველებით აწარმოებენ ლეწვას. მოსავლის აღებაში სხვებზე უფრო უკეთესად მუშაობდნენ სოფ. გავაზის კოლმეურნეობა „განთიადი“ (თავმჯდომარე ლ. გელაძე) კანგარვიჩის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე შ. ბერიაშვილი), ახალსოფლის კუიბიშევის სახელობის (თავმჯდომარე ნ. მაისურაძე) და ლენინის სახელობის (თავმჯდომარე კ. შუყლაძე) კოლმეურნეობები, სოფ. კუტკანის კოლმეურნეობა „განათლება“ (თავმჯდომარე ი. გიგოლაშვილი), სოფ. წიწკანაანთსერის, სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ს. ჩიბირაშვილი), სოფ. ოქტომბრის ძნელაძის სახელობის (თავმჯდომარე მისაკლაშვილი), სოფ. შილდის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე გისერაშვილი) კოლმეურნეობები. მოსავლის აღებაში კოლმეურნეობებს კარგად ეხმარებოდნენ მუშა-მოსამსახურეები. ამ მხრივ სეიფოფული მუშაობა გასწიეს მოსწავლე ახალგაზრდებმა, ისინი სწავლის დამთავრების შემდეგ ამტიეურად ეხმარებოდნენ კოლმეურნეებს მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეში. სოფ. ენისელის საშუალო სკოლის დირექტორი ნაცვლიშვილი ენერგიულად მუშაობდა მოსავლის აღებაზე; მან პირადი მაგალითით დარაზმა მოსწავლეები ენერგიული მუშაობისათვის. მისაბაძია კომკავშირელ მასწავლებლის ს. გურასპაშვილის მაგალითი. მან თავისი რაზმით სოფ. ჭიკაანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას 6,5 ჰექტარზე აუღო ყანა და ნათესები გაუთოხნა 21 ჰექტარზე. ამხ. გურასპაშვილმა თვითონ გამოიმუშავა 90 შრომადღე. თავადდებული შრომის მაგალითებს იძლეოდნენ სოფ. შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადა (ბრიგადირი გ. ახალბედაშვილი), სოფ. გავაზის კოლმეურნეობა „განთიადის“ მესამე ბრიგადა (ბრიგადირი ალ. მებაღიშვილი), კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადა (ბრიგადირი ბ. ბუთიაშვილი), რომელმაც 38 მუშით მოსავალი აიღო 90 ჰექტარზე, სოფ. სანავარდოს კოლმეურნეობის მეორე ბრიგადა (ბრიგადირი სამამული ომის მონაწილე გ. ყრუაშვილი), რომელმაც 42 მუშით ყანა მომკო 85 ჰექტარზე. ემირი წითელი არმიის წარმატებებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები ზურგში დაუღალავი შრომით სჭედენ საძულველ მტერზე გამარჯვებას. სოფ. შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ვ. ახალბედაშვილი და ი. ნიკოლოზიშვილი, ამავე სოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ვ. მირიანაშვილი ყოველდღიურად მკიდნენ ყანას 3.000 მეტრზე, ხოლო კომკავშირელი დარიკო ზულიაშვილი 2.500-3.000 მეტრზე. ახალსოფლის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი 62 წლის ი. მჭედლიშვილი 3.000 მეტრს ხშირად აჭარბებს, ასეთი დაუღალავი მუშაკები რაიონში ბევრნი არიან.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა მოსავლის უდანაკარგოდ აღებას. პურის მკასთან ერთად მიმდინარეობდა თავთავების აკრეფა. 29 ივლისისათვის თავთავი აკრეფილი იყო მთელი არსებული ფართობის დაახლოებით 60 პროცენტზე. თავთავების აკრეფის ტემპები ჩამორჩა მკის ტემპებს. ამ ნაკლის გამოსასწორებლად მუშა-ხელი გადაყვანილია თავთავების აკრეფაზე, რომ არც ერთი თავთავი არ დაგვრჩეს აუღებელი. რაიონში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავე კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ ლავოდებელ კოლმეურნეთა მოწოდების საფუძველზე სოციალისტურ ნაკისრ ვალდებულებებს. მოწინავე კოლმეურნეობები ეხმარებიან ჩამორჩენილებს. მაგალითად, სოფ. ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ზ. ხუციელაშვილი) ჩამორჩენილებდა მოსავლის აღებაში. სოფ. გავაზის კოლმეურნეობა „განთიადი“, რომელმაც დამთავრა მოსავლის აღება, დაეხმარა ამ კოლმეურნეობას და ერთ დღეს მოსავალი აიღო 30 ჰექტარზე. კოლმეურნეობანი ურთიერთშორის ძმური დახმარება ფართოდ არის დანერგული ჩვენს რაიონში.

კოლმეურნეობებმა კარგად ჩაატარეს მკა და დაზვინვა. ამჟამად რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეების საბრძოლო ამოცანაა გადაჭრით გაადლიერონ ლეწვის ტემპები. მთელი მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ ლეწვა დავამთავროთ 20 აგვისტომდე. მოსავლის აღებაში ადგილი ჰქონდა ცალკეულ ნაკლოვანებებს. მაგალითად, ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა ყვარლის მტს-ი. იყო შემთხვევა, როდესაც მინდვრად გასული კომბაინები უქმად იდგნენ. ეს იმით აიხსნება, რომ მტსმა სათანადოდ ვერ ჩაატარა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მაწქანების რემონტი და ამის შედეგი იყო, რომ მუშაობის პროცესში კომბაინები და ტრაქტორები სეიფოფული ხასიათის შეკეთებას საჭიროებდნენ. ამჟამად მიღებულია ზომები, რომ მტს-მა უზრუნველყოს ლეწვის გეგმის მთლიანად შესრულება.

პურის ჩამარების გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულება—ეს კოლმეურნეობათა პირველი მცნებაა. კოლმეურნეობებს კარგად ესმით, რომ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულება პირველი განალაგური მარცვლეულიდან—ეს მათი პატრიოტული ვალი და ამით აიხსნება, რომ ლეწვის დაწყებისთანავე მარცვლეულით დატვირთული წითელი ჭარავნები დაიძრა „ზაგოტზერნოს“ პუნქტისაკენ. 1 აგვისტოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა შესრულებული იყო 89 პროცენტით. ასევე წარმატებით მიმდინარეობს მარცვლეულის შეტანა წითელი არმიის პურის ფონდში, ნატურასაზღაურის გადახდა და სხვ. კოლმეურნეობათა მთელი ყურადღება მობილიზებულია იმისათვის, რომ 15 აგვისტომდე შეეკრულნთ მარცვლეულის ყველა სახის ჩაბარების გეგმები.

კარგად მიმდინარეობს აგრეთვე სიმინდის, გერანის, თამბაქოს დამუშავება. ყვარლის რაიონი წელს სათხრნი და ტექნიკური კულტურების უხვ მოსავალს მიიღებს.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის თავის დროზე და უდანაკარგოდ აღება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა სახელმწიფო გეგმების შესრულება—ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სამეურნეო ამოცანაა. ყვარლის რაიონის კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალის ამხანაგ **სტალინის** 24 ივლისის ისტორიული ბრძანებით, გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ, რომ უხვი სამხედრო მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ განუხრელად შეასრულონ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებანი. ყვარლის რაიონის მშრომელები მზარდ დახმარებას გაუწევენ ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას ბერძნელ ფაშისტ დამჭყლეტელთა რაც შეიძლება მალე განადგურების საქმეში.

მ. ციხისთავი

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი

ოდესა

„რუსეთის ჯარების უდიდესი გამარჯვება სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ“

ინგლისური პრესის გამოხმაურება წითელი არმიის მიერ ორიოლისა და ბელგოროდის დაკავებაზე

ლონდონი, 6 აგვისტო (საკდესი). ცნობები საბჭოთა ჯარების ახალი გამარჯვების შესახებ, რომლებმაც დაიკავეს ორიოლი და ბელგოროდი, ყველა გაზეთმა მოათავსა დიდი ადგილებით. პრესა ვრცლად უყეთებს კომენტარს ამ ამბავს.

როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ლონდონის სამხედრო წრეებში აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს რა ორიოლი, მოიპოვეს დიდი ბაზა, რომელიც თითქმის ორ წელს გერმანელთა ხელში იყო. ფსიქოლოგიურად ეს გამარჯვება განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ჯარებმა ზაფხულში მიაღწიეს დიდ წარმატებას.

რეიტერის სააგენტოს მიმომხილველი ფერგიუსონი სწერს, რომ ორიოლის დაკავება წარმოადგენს ერთ უდიდეს წარმატებათაგანს, რომელსაც რუსებმა ახლანდელ ომში მიაღწიეს. გერმანიის ჯარები განადგურებულ იქნენ პოზიციებზე, რომლებიც გამაგრებული იყო საუკეთესო თავდაცვითი სისტემით, როგორის შექმნაც კი გერმანელებს შეეძლოთ. 5 ივლისს გერმანელებმა მოახდინეს სასოწარკვეთილი ცდა დეზორგანიზაცია შეეტანათ რუსეთის ჯარებში. მაგრამ რუსებმა ისწავლეს ბრძოლა გერმანული მეთოდებით — „სოლებით“ და კონტრშეტევაზე გადავიდნენ. რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი გენერალი გუბერტ გოფი აგრეთვე სთვლის, რომ ორიოლის დაცემა რუსეთის ჯარების უდიდესი გამარჯვებაა სტალინგრადთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ.

მღელვარება გერმანელ ჯარისკაცთა შორის ბელგიაში

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო (საკდესი). სამხედრო ინფორმაციის ბიუროს ცნობით, ბელგიაში მოხდა მღელვარება გერმანელთა საოკუპაციო ნაწილებში. ქალაქ არლონში ბევრი გერმანელი ჯარისკაცი დემონსტრატიულად უარს ამბობდა სალაში მიეცა ოფიცრებისათვის. ეს ამბავი ბავშვებს სასტიკად სჯიდნენ.

გერმანელებმა ბალკანეთში ხელი იგდეს იტალიის თვითმფრინავები

ლონდონი, 6 აგვისტო (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გერმანელებმა ბალკანეთის ზოგიერთ რაიონში ძალით ჩაიგდეს ხელში იტალიის თვითმფრინავები. ყველა მანქანაზე იტალიური გამოსაცნობი ნიშნები შეცვლილია გერმანული ნიშნებით.

ბელგოროდი ჩვენია

ვორონეჟის ფრონტი, 5 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ბელგოროდი. შედარებითი მყუდროება, რაც ამ უკანასკნელ დღეებში ბელგოროდის მიმართულებით სუფევდა, დიდხანს არ გაგრძელებულა. საბჭოთა ჯარისკაცებმა, მოახდინეს რა გერმანელთა ავლისის შემოტევის ლიკვიდაცია და პირველად პოზიციებზე უეუადგეს მტერი, კვლავ გადამწყვეტი იერიში მიიტანეს მტრის გამაგრებულ პოზიციებზე.

ჩვენი ჯარის ნაწილების შეტევის წინ უძღოდა მტრის წინა კიდის, მისი დასაყრდენი პუნქტების, ცეცხლის სისტემის გულდასმითი დაზვერვა. დაზვერვა დღედაღამ სწარმოებდა მიწაზე და ჰაერიდან. ისარგებლეს რა დაზვერვის მონაცემებით. მესაგზურებმა წინასწარ გაათვალეს მტრის დანაღმული მინდვრები და მოსპეს მავთულლობურები. დაზვერვამ საშუალება მისცა ჩვენს არტილერისტებს მოენიშნათ მტრის საცეცხლე პოზიციები, ხოლო მფრინავებს—მოესინჯათ ფაშისტთა ტანკებისა და ქვეითი ჯარის თავმოყრის ადგილები.

3 აგვისტოს საბჭოთა ჯარები ქალაქის კედლებს მიადგნენ. გააფთრებული ბრძოლების შედეგად ჩვენი მეომრები ქალაქის ეუჩეებში შეიჭრნენ. ამ გაფთრებულ ბრძოლებში კარგად იყო ორგანიზებული სხვადასხვა სახეობის ჯარების თანამოქმედება. ქვეითთა იერიშებს დახმარებას უწევდნენ არტილერისტები. ქვემეხთა გუნდები ქვეითი ჯარის საბრძოლო წყებებში მიდიოდნენ და ანგრევდნენ მტრის საცეცხლე წერტილს. 5 აგვისტოს მტრის წინააღმდეგობა ჩახშობილ იქნა. ორიოლი კვლავ საბჭოთა ქალაქი გახდა.

ორიოლისათვის ბრძოლებში უჭკოსი სახელი და დიდება მოიპოვეს მე-5, 129-ე და 380-ე მსროლელმა დივიზიებმა, რომელნიც პირველნი შეიჭრნენ ქალაქ ორიოლში და გერმანელ დამმონებლებისაგან გაათავისუფლეს იგი.

ჰიტლერელმა მტარვალებმა დანგრიეს ქალაქი. ორიოლის საუკეთესო შენობები—კულტურის სასახლე, შრომის სასახლე, სკოლები, ბიბლიოთეკები, საბავშვო ბაღები ადასწვეს, აფეთქეს, მოსპეს ფაშისტებმა. ორიოლის მცხოვრებნი აუწერელი სიხარულით შეხვდნენ თავიანთ განმათავისუფლებლებს—წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს.

ბოლხოვში

ორიოლის მიმართულება, 2 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). სხვენილ სურათს წარმოადგენს ბოლხოვი გერმანელ ფაშისტთა წლინახევრის ოკუპაციის შემდეგ. უკან იხევდნენ რა წითელი არმიის დარტყმების შედეგად, ჰიტლერელმა არამზადებმა ნანგრევებად აქციეს ოდესღაც მწვანე ბაღებში ჩამჯდარი საბჭოთა ქალაქი. ფაშისტი ამფეთქებლები და მეჩიჩავლენი აფეთქებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ შენობებს, საცხოვრებელ სახლებს, ანგრევდნენ ეკლესიებს. რათა დაეფარათ სისტლიან დანაშაულობათა კვალი, ფაშისტებმა აფეთქეს აგრეთვე ის შენობა, სადაც გესტაპო იყო მოთავსებული.

ოქტომბრის ჭუჩით, სადაც არც ერთი სახლი არ გადარჩენილა, ჩვენ მდინარიდან მივდივართ ქალაქის ცენტრისაკენ. აი ბოლხოველებისათვის ძვირფასი ლენინის ქუჩაც. რა ბედი ეწია მას! აქ იყო მრავალი ლამაზი შენობა, ახლა კი აღარაფერი დარჩენილა. ქუჩაში გავლა ძნელია. იგი სავსეა ჩამონგრეული კედლების ავურით და ღორღით, მოგლეჯილი სახურავების რკინით.

გზაში შემოგვხვდა უფროს სერჟანტ პროკოპენკოს მესანგრეთა ათეული. მებრძოლნი სახლიდან სახლთან მიდიან, ქუჩიდან ქუჩაში გადადიან, სინჯავენ ყოველ მეტრ მიწას, ათვალიერებენ ყოველ ნივთს. ერთ-ერთ სახლში უფროსმა სერჟანტმა პროკოპენკომ, დაათვალიერა რა მაგიდაზე მდგარი ჭილა, რომელშიც ერბო იყო, გამოარკვია, რომ ჭილა დანაღმულია. მეორე სახლში დანაღმული აღმოჩნდა არყის ბოთლი, მესამეში — კედლის საათი, კიდევ ერთ ბინაზე—ჩიტის გალია. შენობა, სადაც გერმანელი კომენდანტი ცხოვრობდა, აფეთქდა უკვე მას შემდეგ, რაც ჰიტლერელებმა ქალაქი დასტოვეს. გადარჩენილი სახლების სარდაფებში ფაშისტებმა ჩაწყვეს დაყოვნებული მოქმედების ნაღმები საათიანი ჩამრთავით. რამდენიმე დღის განმავლობაში მესანგრეებმა ქალაქში აღმოაჩინეს და გაუუნეტლეს სამიათასზე მეტი ნაღმი.

...შორს კიდევ ბოისმის ქვემეხთა გრიალი. მაგრამ ქალაქი უკვე გამოცოცხლდა. ქუჩებში თავიანთ საცხოვრებლებისაკენ წყებებად მიისწრაფვიან ადამიანები, რომლებიც უახლოეს ტყეებსა და ხეებში იყვნენ დამალულნი. ყველგან სადღესასწაულო გამოცოცხლებაა. ადამიანები დიდი ხნის განმავლობაში პირველად გამოვიდნენ უშიშრად ქუჩებში, რათა ერთმანეთს გამოელაპარაკონ და თავისუფლად გაუზიარონ აზრი. მაგრამ საკმარისია სთხოვო გიამბონ, თუ როგორ ცხოვრობდნენ გერმანელების დროს, რომ ბოლხოველებს სახეზე მრისხანება და გულისწყრომა გამოეხატოთ.

— თქვენ გვეკითხებით, როგორ ეცხოვრობდით აქ?—ამბობს ანია სვირინა და გვიჩვენებს დაოკურებულ ხელის გულს,—შეხედეთ. ქალაქის მთელი მამრობითი და დედრობითი სქესის მოსახლეობა 14-დან 60 წლამდე მობილიზებული იყო მიწის სამუშაოებზე. ჩვენ გვავალებდნენ დილის შვიდი საათისათვის გამოცხადებულიყავით ბარებისათვის, მწკრივებად ვეწყობოდით და გამოძახების შემდეგ ბადრაგით გეგზავნიდნენ სნეგრების სათხრელად ან სამხედრო ვიწროლიანდაგიანი გზის მშენებლობაზე. ვმუშაობდით გვიანამდე, ზამთარ-ზაფხულ, დღეში ერთხელ გვაჭმევდნენ რაღაც უგემურ სალაფავს. ყინვაში ნახევრადიშიშველნი მივდოდით სამუშაოზე ათ კილომეტრ მანძილზე. თუ ზედამხედველს მოეჩვენებოდა, რომ ვინმე არასაკმაოდ ენერგიულად მუშაობდა, მას სცემდნენ. განსაკუთრებით მძიმე იყო ბავშვების მდგომარეობა. ნახევრადშიშველნი, დასუსტებულნი, ისინი მალე იღლებოდნენ და ვერ ასრულებდნენ ნორმებს, რომლებიც ზოზრდილთათვისაც კი ძალიან დიდი იყო. აქედან ბავშვებს სასტიკად სჯიდნენ.

ასე მიმდინარეობდა ბოლხოველთა უმრავლესობის ცხოვრება. დილით, დღისით და საღამოთი აუტანელ სამუშაოზე, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა კატორღისაგან, ხოლო ღამით—ნესტიან სარდაფებში. გერმანელებმა თითქმის ყველა მცხოვრები გამოარეკეს სახლებიდან და თვითონ ჩასახლდნენ მათს ბინებში. გადარჩენილ კარებსა და ლობეებზე ახლაც კი იპოვით წარწერას გერმანული ენაზე: „აქ ცხოვრობენ გერმანელები“. ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსებს იქ შესვლა აკრძალული ჰქონდათ. დიასახლისს ღიღლაბეში მხოლოდ ერთხელ შეეძლო შესვლა ბინაში, რათა დაელაგებინა და გერმანელებისათვის მიეტანა გარეცხილი თეთრეული.

ოკუპანტების უღელქვეშ ცხოვრების შავბნელი ფურცლები ისტორიას ჩაბარდა. ბოლხოველნი ენერგიულად იბრძვიან გერმანელების მიერ დანგრეული ქალაქის აღსადგენად.

ნ. კუზნეცოვი

ჩვენი ჯარების შეტევა ორიოლის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში. სურათზე: ტყვე გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა კოლონა იგზავნება ზურგში.

ფოტო ლ. ველიკუანინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების თათბირი

სტალინის რაიონი

ამ დღეებში შესდგა სტალინის რაიონის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების თათბირი.

რაიონის საწარმოებში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ლოლაძემ.

სამამული ომის პერიოდში რაიონში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს მიეცათ 5.744 ათასი მანეთის დახმარება. 971 ოჯახმა მიიღო ოთახი და ბინა. 194 ფრონტელთა ოჯახს შეუკეთდა ბინა. 348 სამხედრო მოსამსახურის ბავშვი გაგზავნილია გამაჯანსაღებელ მოედნებსა და სანატორიუმებში. რაიონში გახსნილია სპეციალური მაღაზია, რომელზეც მიმაგრებულია არიან სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრები.

რაიონის წარმოება-დაწესებულებები სათანადო მზრუნველობას იჩენენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი. მუდის ფაბრიკაში სამამული ომის დღეებში სამხედრო მოსამსახურეთა 240 ოჯახის წევრი მივიდა წარმოებაში სამუშაოდ. 90 ევაკუირებულ ოჯახს ფაბრიკამ ალმოუჩინა დახმარება მისცა მათ ბინა და საჭირო ინვენტარი. ფაბრიკასთან არსებულ ტექმინიმუმის წრეებში ფრონტელთა ოჯახის წევრმა ქალებმა აითვისეს რთული პროფესიები, მათ დახმარებას უწევდნენ საამქროს ოსტატები და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი. ასევე კარგად ეხმარება სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს ლ. პ. ზერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონის, ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის, თამბაქოს“ ფაბრიკის, კინოსტუდიის და სხვა წარმოთა ადმინისტრაცია.

ბათუმისა და მთავრობის [illegible] ფრონტელთა ოჯახის წევრები ზურგი თავადებული შრომით ეხმარებიან. ბელოლეთის ფაბრიკაში ფრონტელთა ოჯახის 130 წევრი უშუალოდ დაზგებს მიუდგნენ. 115 სტახანოველია, რომლებიც სამამული ომის დღეებში დაეუფლნენ საწარმოო პროფესიას. ამჟ. ბეგოზდევსკაია თვიური გეგმებს 118 პროცენტით და მეტით ასრულებს. ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტში მომუშავე ლ. მამულაშვილმა ფრონტზე წასული ქმარი შესცვალა დაზგაზე. კვალიფიციური ზეინკალი გახდა და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. თამბაქოს ფაბრიკის მუშა-ქალი ელინაძე, ორი ბავშვის დედა, უკვე ორასოვნია, იგი წარმოებაში მუშაობასთან საუკეთესოდ ათვისებს საზოგადოებრივ საქმიანობას. აქტიურად მუშაობს საშეფო ჰოსპიტალში და სხვ.

კამათში გამოვიდნენ ფრონტელთა ოჯახის წევრები, თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშა ამხ. სუდრობინა, ამხ. ცქიტიშვილი, ბოიკო, გოლუბევა და სხვები.

სიტყვით გამოვ